# სასკოლო რა? სად? როდის?

**მთავარი რედაქტორი: ლაშა კილაძე**

**ნიმუშები**

1. ძველი ჩინური მათემატიკური ტრაქტატის ერთ-ერთ თავში აღწერილია ტბორი (მცირე ტბა), რომლის სიგანე ათ ჩის შეადგენს, ხოლო მის ცენტრში წყლის ზედაპირიდან ერთი ჩის სიმაღლეზე ამოზრდილა ლერწამი. ტრაქტატის ეს თავი ავტორებმა მიუძღვნეს ერთ ბერძენს. კითხვა: დაასახელეთ ეს ცნობილი ბერძენი!

2. 1985 წელს თბილისმა უმასპინძლა ახალგაზრდულ მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, რასაც გამოეხმაურა ცნობილი მწერალი თამაზ ჭილაძე. თბილისში ჩატარებული ჯგუფური ეტაპის ემბლემის შესახებ ის აღშფოთებული წერდა: „შეუძლებელია თბილისურ სინამდვილეში ისეთი არასპორტული ვინმე წარმოვიდგინოთ, როგორიც ლოთობის, სპეკულიანტობის, ტყუილისა და ლაზღანდარობის ეს სიმბოლოაო“. კითხვა: დაასახელეთ ეს სიმბოლო!

3. აშშ-ში, მენის შტატში მდებარე ქალაქი პორტლენდი საშინელი ხანძრების შედეგად ოთხჯერ განადგურდა და ფაქტობრივად ოთხჯერვე ხელახლა აშენდა; ალბათ სწორედ ამიტომ, ქალაქის ბეჭედზე გამოსახულია ერთი მითიური არსება. კითხვა: დაასახელეთ ეს არსება!

4. იაპონელი პოლიციელის ფორმა ითვალისწინებს თეთრ პერანგსა და ხელთათმანებს, მუქლურჯ ან ნაცრისფერ კიტელს და შარვალს. ასევე აუცილებელია, იაპონელ პოლიციელი ფლობდეს შავი იქსს. კითხვა: დაწერეთ იქსი ერთი სიტყვით!

5. ოფიციალური ვერსიით, იქსი რწმენის, იმედისა და სიყვარულის ერთიანობის სიმბოლოა. ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად ხუმრობს, რომ იქსი ახდენს სოუსების - პესტოს, ბოლონეზესა და კარბონარას სიმბოლიზებას. კითხვა: დაწერეთ იქსი ორი სიტყვით!

6. აფრიკული ტომის - ზულუსების წარმომადგენლებს ყოველთვის ერთობ უხაროდათ, როცა ქალღმერთი მბაბა-მვანა-ვარესა დოლზე დაკვრას იწყებდა. უხაროდათ, რადგან იცოდნენ, რომ ამ დაკვრას ყოველთვის თან მოჰყვებოდა იქსი. დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით!

7. თამაზ ჭილაძემ იქსს პოსეიდონის მისალები უწოდა. ვიკიპედიის თანახმად, მსოფლიოში ყველაზე გრძელი იქსი ჩრდილო-დასავლეთ ავსტრალიაში მდებარეობს. კითხვა: დაწერეთ იქსი ფრანგული წარმოშობის ერთი სიტყვით!

8. გადმოგვცემენ, რომ ფრანგი მეფეების სასახლეში - ტიუილრიში, იყო დარბაზი სახელწოდებით „პა დე ლუპ“, რაც ქართულად „მგლის ნაბიჯს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება დარბაზს მიეცა 1778 წელს, აქ გამართული კონცერტის შემდეგ. კითხვა: ვისი სიმფონია შესრულდა ამ კონცერტზე?

9. ერთი ვერსიის თანახმად, იქსი შევარდენის ფრენის იმიტაციას ახდენს და თავდაპირველად შეშინებული ფრინველების ხეებზე გაბმულ მახეებში შესარეკად გამოიყენებოდა. პირველი იქსი სავარაუდოდ 10 000 წლის წინ შეიქმნა. კითხვა: დაასახელეთ იქსი არაქართული წარმოშობის სიტყვით!

მოცემული „რა? სად? როდის?“ შეკითხვების პაკეტი წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც დაცულია კანონით საავტორო უფლებების შესახებ. პაკეტის მთლიანი ან ნაწილობრივი პუბლიკაცია ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში საქართველოს კლუბთან „რა? სად? როდის?“ შეთანხმების გარეშე, სასტიკად აკრძალულია ©.

10. ამტკიცებენ, რომ 2005 წლიდან მოყოლებული, განვითარებულ ქვეყნებში შესამჩნევად მოიმატა საბავშვო ტრამვატიზმმა. ეს, დიდი ალბათობით, უკავშირდება იმას, რომ მშობლები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ იქსებს და სულ უფრო ნაკლებს – საკუთარ შვილებს. კითხვა: დაწერეთ იქსი ერთი სიტყვით!

11. მოისმინეთ ნაწყვეტი იაკობ გოგებაშვილის წერილიდან: ,,იგი ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს სახლში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი, სუბიექტურად, **ჩვენს პირში** არის ღატაკი და ღლე ნაკლულს არსებას მოგაგონებთ“. კითხვა: რა ჰქონდა მხედველობაში იაკობ გოგებაშვილს?

12. ფსიქოლოგების მტკიცებით, საქმიანი მიმოწერის დროს იქსების გამოყენება უფრო მეტად ნეგატიურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე პოზიტიურს; იმდენად, რამდენადაც ადრესატს უჩნდება ეჭვები წერილის ავტორის პროფესიულ კომპეტენტურობის თაობაზე. კითხვა: დაასახელეთ იქსი ერთი ინგლისური წარმოშობის სიტყვით!

13. მოისმინეთ ვახტანგ ჯავახაძის ლექსი ,,გამოცანა“:

,,სტვენს გაზაფხულის შიკრიკი
და ღვივის როგორც კრამიტი,
გარეთ ატლასი, შიგნით კი
.................“

კითხვა: დაწერეთ ამ ლექსის უკანასკნელი სტრიქონი!

14. წიგნში სახელწოდებით «5 o'clock და ინგლისის სხვა ტრადიციები» ავტორი წერს, რომ მე-19 საუკუნის რუსეთში მომხმარებლისთვის იქსები ასოცირდებოდნენ პროდუქციის მაღალ ხარისხთან. სწორედ ამიტომ, რუსი მეწარმეები ხშირად იყენებდნენ ხოლმე იქსებს ყოველგვარი შინაარსის გარეშე. კითხვა: დაწერეთ თანამედროვე 26 იქსიდან უკანასკნელი!

15. მოისმინეთ თამაზ ჭილაძის ჩანაწერი: ,,არაფერი ყოფილა სინამდვილეზე ფანტასტიკური. ჩვენ დღეს ფანტასტიკურ რეალობაში ვცხოვრობთ და ამიტომაც ეს ცხოვრება მე-19 საუკუნის ადამიანის ცხოვრებასთან შედარებით ნაკლებად ჩამოგავს ცხოვრებას”. ეს სიტყვები თამაზ ჭილაძემ ქალაქ ნანტში სახლ-მუზუმის დათვალიერების შემდეგ დაწერა. კითხვა: ვისი სახლ-მუზეუმის?

16. მკვლევარების მტკიცებით, თავიანთი ბუდეების აგების პროცესში კოლიბრები ხშირად იპარავენ ხოლმე იქსების ნახელავს. კითხვა: დაასახელეთ იქსი ერთი სიტყვით!

# SPOILER ALERT!!!

მოცემული ,,რა? სად? როდის?“ შეკითხვების პაკეტი წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც დაცულია კანონით საავტორო უფლებების შესახებ. პაკეტის მთლიანი ან ნაწილობრივი პუბლიკაცია ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში საქართველოს კლუბთან ,,რა? სად? როდის?“ შეთანხმების გარეშე, სასტიკად აკრძალულია ©.

**პასუხები:**

1.

პასუხი: პითაგორა

ითვლება: ზუსტი პასუხი

კომენტარი: ძველი ჩინური ამოცანა გვეკითხება: ,,თუკი ცენტრში ამოზრდილი და ნაპირისკენ გადმოხრილი ლერწმის წვერო ნაპირამდე აღწევს, მაშინ რა სიღრმისაა ტბორი?“ ეს ამოცანა პითაგორას თეორემის დახმარებით იხსნება, რომელიც ძველ ჩინეთში ცნობილი იყო, როგორც «გოუ-გუს წესი».

წყარო: http://files.school-collection.edu.ru/dlrstore/648d87e8-0b93-39b7-bf79-498944b4ff26/00145619626686195.htm

2.

პასუხი: კინტო

ითვლება: ზუსტი პასუხი

კომენტარი: კომუნისტური პერიოდის თბილისში კინტო თბილისის ერთ-ერთ სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ჩვენი ტურნირის სიმბოლო კინტო ნამდვილად არ არის ☺ ☺ ☺.

წყარო: თ.ჭილაძე “ოწინარი. ჩანაწერები.” ინტელექტი 2012, გვ.105

3.

პასუხი: ფენიქსი

ითვლება: ზუსტი პასუხი

კომენტარი: სიკვდილის წინ ფენიქსი საკუთარ თავს წვავს, ხოლო შემდეგ აღსდგება ფერფლიდან. შესაბამისად, ფენიქსი გახდა მუდმივი განახლებისა და ქალაქ პორტლენდის სიმბოლო.

წყარო: https://ru.wikipedia.org/wiki/Портленд_(Мэн)

https://ka.wikipedia.org/wiki/ფენიქსი_(მითოლოგია)

4.

პასუხი: ქამარი

ითვლება: სარტყელი და აზრობრივად სწორი სხვა პასუხები

კომენტარი: იგულისხმება შავი ქამარი, რომელი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ოსტატობის მაღალი დონის მაჩვენებელია.

წყარო: http://www.bbc.com/news/magazine-38365729

https://en.wikipedia.org/wiki/Law_enforcement_in_Japan

5.

პასუხი: იტალიის დროშა

ითვლება: ზუსტი პასუხი

კომენტარი: პესტო, ბოლონეზე და კარბონარა ფერით არიან შესაბამისად მწვანე, წითელი და თეთრი, რაც ერთიანობაში იტალიის დროშის ფერებია.

წყარო: http://33tura.ru/italy-flag

6.

პასუხი: წვიმა

ითვლებაა: აზრობრივად სწორი პასუხი.

კომენტარი: მბაბა-მვანა-ვარესა ზულუსებში წვიმის, სოფლის მეურნეობისა და ნაყოფიერების ქალღმერთია. ჭექა-ქუხილის ხმას ზულუსები ამ ქალღმერთის მიერ დოლზე დაკვრის ხმად მიიჩნევდნენ. ჭექა-ქუხილი კი ხშირად წინ უსწრებდა წვიმას.

წყარო: https://en.wikipedia.org/wiki/Mbaba_Mwana_Waresa

მოცემული ,,რა? სად? როდის?“ შეკითხვების პაკეტი წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც დაცულია კანონით საავტორო უფლებების შესახებ. პაკეტის მთლიანი ან ნაწილობრივი პუბლიკაცია ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში საქართველოს კლუბთან ,,რა? სად? როდის?“ შეთანხმების გარეშე, სასტიკად აკრძალულია ©.

7.
პასუხი: პლიაჟი
ითვლება: ზუსტი პასუხი
კომენტარი: პოსეიდონი ზღვის ღმერთია, ხოლო პლიაჟი ზღვას ესაზღვრება. ინგლისური ვიკიპედიის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე გრძელი პლიაჟი ეითლი მილ ბიჩი, სახელწოდების მიუხედავად 140 მილი (220 კმ) სიგრძისაა
წყარო: თ.ჭილაძე, ,,ოწინარი, ჩანაწერები", ინტელექტი, გვ.31
https://ka.wikipedia.org/wiki/პლაჟი
https://en.wikipedia.org/wiki/Beach

8.
პასუხი: ვოლფგანგ ამადეი მოცარტი
ითვლება: ზუსტი პასუხი
კომენტარი: მოცარტის ერთ-ერთი სახელი ,,ვოლფგანგ" გერმანულ ენაზე მგლის ნაბიჯს ნიშნავს.
წყარო: 1. GEO 12, 2005.
2. Французско- и немецко-русские словари Lingvo 9.

9.
პასუხი: [ავსტრალიური] ბუმერანგი
ითვლება: ზუსტი პასუხი
კომენტარი: ბუმერანგი კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი იარაღია.
წყარო: Ллойд Дж., Митчисон Дж. Книга всеобщих заблуждений.

10.
პასუხი: სმარტფონი
ითვლება: ტელეფონი, მობილური.
კომენტარი: ბევრი მშობელი ისე გულდასმით უყურებს სმარტფონს, რომ პრაქტიკულად ყურადღებას არ აქცევეს საკუთარ შვილებს, შედეგად, ეს უკანასკნელნი ხშირად ეცემიან და ტრამვებს იღებენ.
წყარო: http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0047272717301810

11. პასუხი: ქართული ენა.
ითვლება: ენა, მშობლიური ენა
კომენტარი: ,,ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა, რომელიც უგუნურს პატრონს სახლში მიუგდია, იშვიათად ხმარობს და ჟანგს აჭმევინებს. ამიტომ, ობიექტურად, თავის-თავად მდიდარი და განვითარებული, სუბიექტურად, ჩვენს პირში არის ღატაკი და ღღე ნაკლულს არსებას მოგაგონებთ".
წყარო: ,,იაკობის სამრეკლო", შემდგენლები: ჯუმბერ თითმერია, ზურაბ ჩილაჩავა, გამომცემლობა ,,განათლება", 1990, გვ.75

12.
პასუხი: სმაილიკი
ითვლება: სმაილი (ემოტიკონი)

მოცემული ,,რა? სად? როდის?" შეკითხვების პაკეტი წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც დაცულია კანონით საავტორო უფლებების შესახებ. პაკეტის მთლიანი ან ნაწილობრივი პუბლიკაცია ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში საქართველოს კლუბთან ,,რა? სად? როდის?" შეთანხმების გარეშე, სასტიკად აკრძალულია ©.

კომენტარი: სიტყვები ,,ნეგატიური“ და ,,პოზიტიური“ დამატებითი მინიშნებები იყო.
წყარო:
http://edition.cnn.com/2017/08/17/health/emoticons-emails-study-trnd/index.html

13.
პასუხი: 999
ითვლება: ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი
კომენტარი: ალუზიაა გამოცანაზე ,,გარეთ ატლასი, შიგნით ათასი“. ლექსში საუბარია ბროწეულის ყვავილზე.
წყარო: ვახტანგ ჯავახაძე, ,,ლექსიდან-ლექსამდე“, ჩანაწერები, ინტელექტი, გვ.121

14.
პასუხი: Z (ინგლისური ანბანის ბოლო ასო)
ითვლება: ზუსტი პასუხი
კომენტარი: იმ პერიოდში ინგლისური საქონელი თავისი მაღალი ხარისხის გამო ერთობ ფასეული იყო, შესაბამისად, ინგლისური ასოების გამოყენება პროდუქციის სახელწოდებაში (თუნდაც სრულიად უაზროდ), პროდუქციის ფასს მაღლა სწევდა.
წყარო: http://flibusta.is/b/446248/read

15.
პასუხი: ჟულ ვერნი
ითვლება: ზუსტი პასუხი
კომენტარი: ჟულ ვერნი იყო მე-19 საუკუნის დიდი ფანტასტი მწერალი, რომელმაც თავის წიგნებში ბევრი თანამედროვე აღმოჩენა იწინასწარმეტყველა.
წყარი: თამაზ ჭილაძე, ,,ოწინარი. ჩანაწერები“, ინტელექტი, გვ.134

16.
პასუხი: ობობა
ითვლება: ზუსტი პასუხი
კომენტარი: ბუდეების მშენებლობის დროს კოლიბრები ხშირად იყენებენ ხოლმე აბლაბუდას, როგორც მსუბუქ და მტკიცე მასალას.
წყარო: http://www.worldofhummingbirds.com/nest.php

მოცემული ,,რა? სად? როდის?“ შეკითხვების პაკეტი წარმოადგენს ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც დაცულია კანონით საავტორო უფლებების შესახებ. პაკეტის მთლიანი ან ნაწილობრივი პუბლიკაცია ბეჭდვით ან ელექტრონულ მედიაში საქართველოს კლუბთან ,,რა? სად? როდის?“ შეთანხმების გარეშე, სასტიკად აკრძალულია ©.